# სალამი საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 90 (3067) 12 1966 წ. მაისი. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

◆ მოსკოვი, 11 მაისი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის პირველობის ფინალური ასპარეზობა კრივში. ტურნირში, რომელიც 15 მაისამდე გასტანს, არ მონაწილეობს 3 შარშანდელი ჩემპიონი. შეჯიბრების სტარტზე ძნელი გამარჯვება მოიპოვა ევროპის სამგზის ჩემპიონმა რ. ტამულისმა: მან რის ვაივაგლახით მოუგო მოსკოველ ვ. თათევოსიანს. სსრ კავშირის ჩემპიონმა, ნოვოსიბირსკელმა ს. კირსანოვმა (I ქვესაშუალო წონა) პირველივე შეხვედრაში მარცხის სიმწარე იწვნია: დაძაბულ ბრძოლაში წააგო ლატვიელ ვ. ტრეპშასთან.

# რესპუბლიკის ჩემპიონები

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ საქართველოს ჩემპიონებს კრივში. პირველ რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ) — რ. რატიანი, ტ. ატოიანი; მეორე რიგში — გ. ვარდანიანი, მ. მარქარიანი, ჯ. კვანტალიანი, ზ. მაჭავარიანი; მესამე რიგში — ნ. გარაბაჯი, მ. მამამთავრიშვილი, რ. აკოფოვი, ხ. საყვარელიძე.





## [illegible] საათი...

◆ ლიმა, 11 მაისი. პერუს დედაქალაქში თავისი პირველი მატჩი საბჭოთა კალათბურთელებმა მოუგეს ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს — 75:51. პერუელებმა მხოლოდ შესვენებამდე ასე თუ ისე წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრებს, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს — 34:31 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ. მაგრამ მეორე ნახევარში თავი იჩინა საბჭოთა სპორტსმენების კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ და უკეთესმა ტექნიკამ. გამარჯვებულთა შორის ყველაზე ზუსტი სნაიპერი ი. სელიხოვი იყო — 26 ქულა.

◆ რიო-დე-ჟანეირო, 11 მაისი. მიმდინარე თვეში ევროპაში ტურნეს გამართავს ბრაზილიის ფეხბურთელთა მეორე ნაკრები. გუნდში არ იქნებიან ლონდონის მსოფლიო პირველობის კანდიდატები. ბრაზილიელები ითამაშებენ სსრ კავშირში, იტალიაში, პოლონეთსა და გფრ-ში. საბჭოთა ნაკრებთან შეხვედრა ნავარაუდევია მოსკოვში, 29 მაისს. ბრაზილიის ამ გუნდმა შინ ამას წინათ დაამარცხა უნგრეთის ნაკრები — 5:3.

# „მცირე" იუბილე



თბილისის სპორტის სასახლე 5 წლისაა! იგი 1961 წლის 12 მაისს გაიხსნა საზეიმოდ. და მას შემდეგ სასახლის კარი მუდამ ღიაა სპორტისმოყვარულთათვის.

ეს იყო დიდი საჩუქარი ყველასთვის — თბილისელებისა და სტუმრებისთვისაც, — ჩვენთან ხომ ხშირად შემოდის კოლექტიური დასწრების განაცხადები ბაქოდან, ერევნიდან და სხვა ქალაქებიდან. აქ ჩატარებულ ასპარეზობათა მუდმივი მაყურებლები გახდნენ მცხეთის, გორის, რუსთავის და სხვა ახლო რაიონების მკვიდრნი.

ციფრების ენით თუ ვიტყვით, ამ 5 წლის მანძილზე თბილისის სპორტის სასახლეს 2.664.675 კაცი ესტუმრა; ჩატარდა 700-ზე მეტი ღონისძიება. ამ სარბიელზე წარმატებით ბევრჯერ გაუხარებივართ თბილისის „დინამოს" კალათბურთელებს, „ბურევესტნიკის" ხელბურთელებს, კლასიკური და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს. აქ მოუწყეს ზეიმი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს, სსრ კავშირის ჩემპიონები რომ გახდნენ; აქ ვიზეიმეთ ნონა გაფრინდაშვილის დიდი გამარჯვება. აქ გაეცნენ თბილისელები ციგურებით ფიგურული სრიალის ხელოვნებას...

ჩვენი სასახლის საპატიო სტუმრების წიგნში ბევრი ჩანაწერია. აი, რა დაწერა სახელგანთქმულმა საბჭოთა ძალოსანმა ი. ვლასოვმა: „შესანიშნავი სასახლე, შესანიშნავი ადამიანები. მადლობა რეკორდისა და დახმარებისათვის. მხურვალე სამხრეთული გული რომ არა, გამარჯვება, ალბათ, გამიჭირდებოდა". კიდევ ერთი ჩანაწერი: „ცსკა-ს კალათბურთელთა გუნდი მადლობას უხდის სპორტის სასახლის მუშაკებს შეჯიბრების სარბიელის სანიმუშოდ მომზადებისთვის, სსრ კავშირის პირველობის მონაწილეთა გულითადი მიღებისთვის". კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვ. ჯონსმა ევროპის პირველობის შემდეგ ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვა: „ჩემპიონატი ჩინებულად იყო ორგანიზებული, მსაჯთა კოლეგია აღჭურვილი იყო ყოველგვარი აპარატურით. თბილისელებმა ჩემპიონატის მონაწილეებს იდეალური დარბაზი დაუთმეს".

...გვინდა ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ამ შესანიშნავი სპორტული სარბიელის შემქმნელები: პროექტის ავტორები ი. კასრაძე, ვ. მესხიშვილი, ინჟინერი დ. ქაჯაია და მათი თანაშემწეები თბილქალაქპროექტის ინსტიტუტიდან, მშენებლები. მათ მონდომება არ დაუკლიათ, რომ ქართველ სპორტსმენებსა და სპორტისმოყვარულთ ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სასახლე ჰქონოდათ.

ძირითადი სადემონსტრაციო სარბიელის გარდა, სასახლეს აქვს ტანვარჯიშის 2 დარბაზი, კომფორტაბელური გასახდელები სპორტსმენებისთვის, მსაჯებისთვის, რადიოკვანძი, ელექტრო და სარეგისტრო პულტი და სხვ. იქვე ახლოს აშენდა მაცივარი, რომელიც ყინულს „გვაწვდის".

ჩვენი კოლექტივი სიამაყის გრძნობით ხვდება „მცირე" იუბილეს. ბევრნი, მაგალითად, დირექტორის მოადგილე შ. ქორქაშვილი, მთავარი ადმინისტრატორი თ. მეგრელიშვილი, მთავარი ბუღალტერი რ. შეპიროვა, მთავარი მოლარე ც. ჩიტიძე, სამსახურის უფროსები: ა. ლანჩავა, ა. გარსევანიშვილი, ი. გელოვანი, შ. სირაძე, ვ. ტალნიკოვა, ა. სამხარაძე, ლ. წიკლაური, ფ. რუდენკო, თანამშრომლები ლ. მუსერიძე, ვ. ვასაძე, მ. ზარიძე, ს. ვასილჩენკო, ს. სოზიაშვილი, ო. კობალაძე, ფ. თეთრაძე, მ. მერაბიშვილი, ე. ზიუკოვა სასახლის გახსნის დღიდან მუშაობენ აქ.

სპორტის სასახლე ხალხის ქმნილებაა და ხალხსავე ემსახურება. ამიტომ ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ იგი თბილისელებისა და ჩვენი ქალაქის სტუმრებისთვის კვლავაც დასვენების საყვარელი ადგილი იყოს.

რ. იმნაძე,
სპორტის სასახლის დირექტორი.

# ბრძოლა ენდშპილში შეწყდა

მოსკოვი, 11 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს XIII პარტიით განახლდა ბრძოლა პეტროსიან — სპასკის მატჩში.

მეტოქეებმა კვლავ კარო-კანის დაცვა გაითამაშეს, მაგრამ ამჯერად სპასკიმ უარი თქვა ქ. პანოვის სისტემაზე და ისევ იმ ვარიანტს დაუბრუნდა, რომელიც I პარტიაში გამოიყენა. გრძელ მხარეზე როქის შემდეგ მან ცენტრი დაიპყრო, მაგრამ მე-18 სვლით პეტროსიანმა გაააქტიურა თავისი ფიგურები...

21-ე სვლიდან სპასკიმ გამომწვევი თამაში დაიწყო. პოზიცია გართულდა. მსოფლიო ჩემპიონმა სცადა პაიკის შეწირვით ინიციატივის ხელში ჩაგდება, მაგრამ სპასკიმ არ მიიღო „ძღვენი". მაშინ პეტროსიანმა დათმო ეტლი მხედარსა და პაიკში, რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა თამაში.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო. ამრიგად, მატჩის ანგარიში ისევ 7:5-ია მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ.

**სპასკი — პეტროსიანი**

**1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 კf5 5. მg3 კg6 6. h4 h6 7. მf3 მd7 8. h5 კh7 9. კd3 კ:d3 10. ლ:d3 ლc7 11. კd2 e6 12. ლe2 მgf6 13. 0—0—0 0—0—0 14. მe5 მ:e5 15. de მd7 16. f4 კe7 17. მe4 მc5 18. მc3 f6 19. ef კ:f6 20. ლc4 ლb6 21. b4 მa6 22. მe4 მc7 23. ეhe1 ეd4 24. ლb3 ლb5 25. c3 ე:e4 26. ე:e4 ლ:h5 27. ლc4 ლf5 28. ლe2 h5 29. კe1 ეe8 30. g3 a5 31. ba ლ:a5 32. ლc2 ლf5 33. ეa4 g5 34. fg კ:g5+ 35. მფb2 ლ:c2+ 36. მფ:c2 e5 37. ეe4 მd5 38. კf2 მf6 39. ეa4 მფc7 40. კc5 მd5 41. ეe4.** 41-ე სვლა ჩაიწერეს შავებმა.

# გუშინ...

თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, შედგა ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქების — ბაქოს, ერევნისა და თბილისის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩ-ტურნირის I ტური. ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოსა და ერევნის გუნდები. ბაქოელებმა შესანიშნავად ითამაშეს: სძლიეს მეტოქეებს — 5,5:1,5 (3 პარტია არ დამთავრებულა). ბაგიროვმა მოუგო მნაცაკანიანს, პავლენკომ — ქ. გრიგორიანს, ზატულოვსკაიამ — ბოიახჩიანს, გორბულიოვამ — ვარდანიანს. ყაიმით დამთავრდა შახტახტინსკი — კასპარიანის. მორგულიოვ — ღემირხანიანისა და ჯავაშელიშვილი — არუთინიანის შეხვედრები.

# საქართველოს მრავალდღიანი...



15 მაისს გაგრაში სტარტი მიეცემა საქართველოს მრავალდღიან ველორბოლას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოვლენ აზერბაიჯანის მოზრდილთა და ახალგაზრდული კოლექტივები მოსალოდნელია აგრეთვე მოსკოვის ნაკრების მონაწილეობაც.

ყოველი გუნდის შემადგენლობა 6 სპორტსმენითაა განსაზღვრული. ჩათვლაში შედის 3 საუკეთესო შედეგი. მრავალდღიანი ველორბოლა გამოავლენს ორ ჩემპიონს — გუნდურსა და პირად ჩათვლაში გამარჯვებულს.

ველორბოლის ტრასის საერთო სიგრძე 855 კილომეტრია. ყველაზე გრძელი ეტაპებია IV და VI (ქუთაისი — ბათუმი და სამტრედია — ხაშური), ყველაზე მოკლე — I ეტაპი (გაგრა — სოხუმი).

როგორც აღვნიშნეთ, ველოსიპედისტები სტარტს 15 მაისს გაგრაში აიღებენ და იმავე დღეს სოხუმს ეწვევიან. 16 მაისს გაიმართება II ეტაპი (სოხუმი — ზუგდიდი), ხოლო 17 მაისს — III (ზუგდიდი — ქუთაისი). ქუთაისიდან ველოსიპედისტები ბათუმისკენ გაემართებიან (18 მაისს). 19 მაისს ისინი აჭარის დედაქალაქში დაისვენებენ, მეორე დღეს კი რბოლა თბილისისკენ აიღებს გეზს. 3 დანარჩენი ეტაპი ასეთი იქნება: ბათუმი — სამტრედია (V), სამტრედია — ხაშური (VI) და ხაშური — თბილისი (VII).

## ანგარიშგება-არჩევნები

# ზრდის ნიშნით

აჭარაში ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების, მასობრიობისა და სპორტსმენთა დაოსტატების შესახებ იმსჯელეს ამას წინათ სპორტკავშირის IV საოლქო კონფერენციაზე. მომხსენებლებმა — სპორტკავშირის საბჭოს თავმჯდომარემ შ. მჟავანაძემ და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ლ. სარიშვილმა, აგრეთვე კამათის მონაწილეებმა — ბათუმის სპორტკავშირის თავმჯდომარემ ე. თხილაიშვილმა, აჭარის ტურბაზის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. ბერძენიშვილმა, „დინამოს“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ გ. ურუშაძემ, ქობულეთისა და ბათუმის რაიონების სპორტკავშირების თავმჯდომარეებმა ი. მჟავანაძემ და რ. ჩახვაძემ, „კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ თ. ბოლქვაძემ, სპორტის ოსტატმა ს. პარფინიდიმ და აჭარის განათლების სამინისტროს მეთოდკაბინეტის გამგემ შ. პატარაიამ აღნიშნეს, რომ აჭარის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარეს მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამჟამად აჭარის 493 ფიზკულტურულ კოლექტივში 73.382 კაცია გაერთიანებული. წარმატებით შესრულდა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შვიდწლიანი გეგმა. მარტო საანგარიშო პერიოდში მომზადდა 38 სპორტის ოსტატი, 729 პირველთანრიგოსანი და 1.800 საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი.

გასულ ორ წელიწადში აჭარის ნაკრები გუნდები წარმატებით მონაწილეობდნენ როგორც საქართველოს, ისე საკავშირო პირველობაში სპორტის სხვადასხვა სახეობაში. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ 135 რესპუბლიკურ ღონისძიებაში 25 ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა. აჭარის რეკორდების ცხრილში 111 შესწორებაა შეტანილი.

კონფერენციაზე ილაპარაკეს სპორტბაზების ქსელის გაფართოებასა და კეთილმოწყობაზე. მაგალითად, აღინიშნა, რომ ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელობამ აავო 25-მეტრიანი საცურაო აუზი. ქედაში ექსპლოატაციაში შევიდა სპორტული დარბაზი. საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოეწყო მარტივი ტიპის 85 მოედანი.

კონფერენციამ აღნიშნა, აგრეთვე, რომ გარკვეული მიღწევების მიუხედავად, აჭარის სპორტკავშირის მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები. ბევრია სუსტი, უმოქმედო ფიზკულტურული კოლექტივი. არადამაკმაყოფილებლად დგას სპორტული მუშაობა ხულოს, შუახევის, ქედის რაიონების სოფლებში. არ აქვთ სპორტული ბაზები, არ მუშაობს სექციები, იშვიათად ეწყობა შეჯიბრებები. ანალოგიური მდგომარეობაა ქობულეთისა და ბათუმის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებში და ქ. ბათუმის ცალკეულ საწარმოდაწესებულებებში.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ტანვარჯიშის, წყალში ხტომის, წყალბურთის, ჩოგბურთის, ველოსპორტის, ნიჩბოსნობის, მძლეოსნობის, ძალოსნობის განვითარებას, ხოლო აკადემიური ნიჩბოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა და ცხენოსნობა აჭარაში კულტივირებული არ არის.

სერიოზული ნაკლოვანებებია სპორტული ბაზების შექმნისა და განმტკიცების მხრივ. ბათუმის ბაზები ვერ აკმაყოფილებს სპორტსმენთა მოთხოვნას. აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველო წლების მანძილზე აჭიანურებს „სპარტაკის“ საცურაო აუზის მშენებლობას. ხულოს, შუახევის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონულ ცენტრებში არ აქვთ სპორტული დარბაზები.

კონფერენციამ ყურადღება გაამახვილა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადებაზე. აღინიშნა, რომ რიგ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ საამისოდ კონკრეტული ღონისძიებები და არ გაუშლიათ პრაქტიკული საქმიანობა.

კონფერენციის მონაწილეებმა გადაწყვიტეს განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება აფხაზეთის სპორტსმენებთან და იკისრეს ახალი ვალდებულებები.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. დიასამიძე.

გაიმართა აჭარის ასსრ სპორტკავშირის საბჭოს, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობისა და საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატების არჩევნები.

აჭარის ასსრ სპორტკავშირის საბჭოსპრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია შ. მჟავანაძე.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# აღდგენის შემდეგ

ვანის სპორტკავშირმა დაარსების დღიდანვე გააჩაღა მუშაობა მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი საქმიანობის აღმავლობისათვის. იმაზე, თუ რა წარმატებები მოიპოვეს ვანელმა ფიზკულტურელებმა ამ 16 თვის განმავლობაში და რა ნაკლოვანებები აქვს მათს საქმიანობას, ამას წინათ აქ გამართულ II რაიონულ კონფერენციაზე ილაპარაკეს საანგარიშო მოხსენებით გამოსულმა სპორტკავშირის თავმჯდომარემ ლ. ბუბაშვილმა, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ჯ. ლორთქიფანიძემ და მოკამათეებმა: სპორტის ოსტატმა ა. დვალიშვილმა, ისრითის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ნ. მაღლაკელიძემ, საქსოფლტექნიკის ვანის განყოფილების ეკონომისტმა ზ. გიორგაძემ, გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა გ. ლომინეიშვილმა, სალხინოს საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. ლორთქიფანიძემ, „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ ი. სანადირაძემ, კომკავშირის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. დვალიშვილმა, პარტკაბინეტის გამგემ ს. ხარძეიშვილმა და სხვ.

ითქვა, რომ რაიონის აღდგენის შემდეგ ახალი ფიზკულტურული კოლექტივები შეიქმნა „საქსოფლტექნიკის“ განყოფილებაში, საწარმო კომბინატში, საკონსერვო ქარხანაში და სხვაგან, რის შედეგად, ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი 69-მდე ავიდა, ხოლო ფიზკულტურელებისა — 6 ათასამდე. მარტივი ტიპის მოედნები აიგო ზედა ვანში, ამაღლებაში, მთისძირში. რაიონულ ცენტრში დაიწყო სპორტული კომბინატის მშენებლობა. კომბინატს ექნება ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები, ტრიბუნები რამდენიმე ათასი მაყურებლისთვის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, აუზი, საჭიდაო სარბიელი.

სპორტის ოსტატმა ა. დვალიშვილმა საბჭოთა არმიიდან დაბრუნებისთანავე ჩამოაყალიბა კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის სექციები. მალე პირველ წარმატებებსაც მიაღწიეს. მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობაში დაწინაურდნენ ავტოსატრანსპორტო კანტორის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ვანის, სალხინოს, შუამთის, შუაგორის, ისრითის სასკოლო, შუამთის, ციხესულორის, ტობანიერის საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივები.

პარტიის ვანის რაიონული კომიტეტის (პირველი მდივანი გ. ყიფიანი) ზრუნვა იმის საწინდარია, რომ აქ კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული საქმიანობა.

მომხსენებელმა და სიტყვით გამოსულმა დელეგატებმა ნაკლოვანებებიც აღნიშნეს და მათი აღმოფხვრის გზები დასახეს. გულისტკივილით თქვეს, მაგალითად, რომ იურიდიულ საწევროს წლების მანძილზე არ იხდიან ძულუხის, კუმურის, გადიდის კოლმეურნეობები. ბევრ სკოლაში არ ტარდება დილის ვარჯიში.

— საოცარია, რატომ არ ესწრებიან კონფერენციას ჩემი კოლეგები ან განათლების განყოფილების მუშაკები. აქ ხომ ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საკითხებიც წყდება, — თქვა სალხინოს საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. ლორთქიფანიძემ. — ისიც უნდა ითქვას, რომ რაიკავშირი არ ზრუნავს სპორტინვენტარისა და ფორმის შემოზიდვისთვის, ხშირად მოსწავლეები და მასწავლებლებიც ფიზკულტურის გაკვეთილებზე უფორმოდ არიან. რაიონულ შეჯიბრებებზე იშვიათად ნახავთ ექიმს. არ ხდება ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების საზეიმო დაჯილდოება და, საერთოდ, ბავშვები ხშირად ვერ იღებენ სამკერდე ნიშნებს.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ცუდად სრულდება პარტრაიკომის გადაწყვეტილება მარტივი ტიპის ბაზების მოწყობის შესახებ. ახალი სასკოლო შენობების დაგეგმვისას სპორტდარბაზს არ ითვალისწინებენ. ასე მოხდა, მაგალითად, ვანსა და შუაგორში. ფიზკულტურელებს სათანადოდ არ ეხმარება პროფკავშირის რაიკომი, სუსტია კოლმეურნეობებისა და სკოლების ურთიერთკავშირი.

პლენუმმა სპორტკავშირის რაისაბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ლ. ბუბაშვილი, ხოლო მის მოადგილედ — კომკავშირის რაიკომის მდივანი რ. ლალუაშვილი აირჩია.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვანი.



გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა დედაქალაქის მოსწავლეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი მძლეოსნობაში. უფროსი ასაკის გოგონების 100 და 200 მეტრზე რბენაში კვლავ ისახელა თავი ვ. ქუთათელაძემ (1 მაისის რაიონი), რომელმაც შესაბამისად 12,3 და 25,3 აჩვენა და I თანრიგის ნორმა შეასრულა.

სურათზე: ვ. ქუთათელაძე ფინიშთან. ფოტო ი. იუნაევისა.

## წერილების მიმოხილვა

# სახავენ ამოცანებს

საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში დამთავრდა სპორტკავშირების მორიგი კონფერენციები, რომლებმაც შეაჯამა საანგარიშო პერიოდში ფიზკულტურული კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობა და დასახა მასობრივ-ფიზკულტურულ და სპორტულ საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზთა გამოსწორების გზები.

რედაქციამ ბათუმიდან, ზუგდიდიდან, ლანჩხუთიდან, აბაშიდან, სამტრედიიდან, ზესტაფონიდან, საჩხერიდან, მახარაძიდან, თერჯოლიდან და სხვა რაიონებიდან მიიღო წერილები, რომელთა ავტორები ო. მურვანიძე, გ. ალშიბაია, ი. ებრალიძე, ი. თოფურია, ჯ. ვაშაკიძე, ა. განუგრავა, ა. ანასაშვილი, შ. ძიძურაძე და ვ. ქუტალაძე გვწერენ კონფერენციების საქმიანობაზე.

ჯ. ვაშაკიძე სამტრედიიდან გვატყობინებს, რომ რაიონულ კონფერენციაზე სუსტი მუშაობისთვის გააკრიტიკეს სამტრედიის ლენინისა და წიაღობნის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობების, სამტრედიის სოფლის კოოპერატივის, კულაშის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, აგურის ქარხნის, საშენ მასალათა კომბინატის, გომისა და ჯიხაიშის საშუალო, გამოჩინებულის, წიაღობნის, ჩხენიშის რვაწლიანი სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები.

ი. თოფურიას (აბაშა) წერილში ვკითხულობთ, რომ რაისაბჭოს კონფერენციამ ამხილა გეზათის, წყემის, სუჯუნის, ქოლობნის საკოლმეურნეო, სუჯუნისა და ზანათის საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული ორგანიზაციების მოუქნელი მუშაობა. ბევრგან ჩამოუყალიბებელია სექციები, არ ეწყობა შიდასაკოლექტივო ღონისძიებები, იშვიათად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში და სხვ.

— კონფერენციამ სხვა ხელშემშლელ პირობებთან ერთად აღნიშნა, რომ რაიონი განიცდის ბაზების სიმცირეს, სათანადო სიმაღლეზე არ დგას ფიზიკური კულტურის პროპაგანდა, ცუდადაა სპორტში ქალთა მიზიდვის საქმე. — ლანჩხუთიდან იტყობინება ი. ებრალიძე.

ზესტაფონში გამართულ კონფერენციაზე კი დელეგატებს ყურადღება განსაკუთრებით გაუმახვილებიათ ტანვარჯიშის მწვრთნელთა კვალიფიციური კადრების სიმცირეზე, სასკოლო სპორტდარბაზების უკმარობაზე, ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საწარმოში ფიზკულტურის შეუფასებლობაზე.

ყველა კონფერენციის მუშაობას წითელ ხაზად გასდევდა საქართველოს IV სპარტაკიადისთვის სამზადისში არსებულ წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე გულახდილი საუბარი.

კონფერენციების მუშაობის დამთავრების შემდეგ სპორტკავშირების თავმჯდომარეებად აირჩიეს: ზესტაფონში — კ. ბაზაძე, აბაშაში — ს. ტყებუჩავა, თერჯოლაში — ა. ჩარექოვი, საჩხერეში — დ. გოშაძე, ზუგდიდში — კ. ხორავა, ლანჩხუთში — გ. წილოსანი, სამტრედიაში — გ. ძალაძე, მახარაძეში — ო. კიზინსკი, ქ. ბათუმში — ე. თხილაიშვილი.

# მისაბაძი საქმენი

გულრიფშის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი კ. გერია) ივალდებულა წლეულს ფრენბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორი მოაწყოს და მაგიდის ჩოგბურთის დარბაზი აავოს.

ფეხბურთის მინდვრის მოწყობა ითავეს და სპორტინვენტარი შეიძინეს გულრიფშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „გამარჯვებისა“ (თავმჯდომარე ო. დავითაია) და ამავე სოფლის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ნ. დავთიანი) ფიზკულტურელებმა.

მალე ფრენბურთის მოედნები და ფეხბურთის მინდორი ექნებათ ვლადიმიროვკის სასოფლო საბჭოს ლენინის სახელობის, სოფელ ნებელდის ილიჩის სახელობის, დრანდის სასოფლო საბჭოს წერეთლის სახელობისა და „საქართველოს“ კოლმეურნეობების სპორტის მოყვარულებს.

მერხეულის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყობა ფრენბურთის მოედანი, ფეხბურთის მინდორი და მძლეოსნური სექტორები.

საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიკომის ბიურომ ამას წინათ განიხილა სოფლად კომპლექსური სპორტული ბაზების შექმნის საკითხი და სათანადო დადგენილებაც მიიღო.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

გულრიფშის რაიონი.

## რაიონული სტრიქონები

### ◆ თერჯოლა

აქ გაიმართა შეჯიბრება ფეხბურთში რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ თასზე. გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სიქთარვისა და ღვანკითის სკოლების გუნდები. გაიმარჯვეს სიქთარველებმა — 2:0. აქვე გაიმართა თერჯოლისა და კვახჭირის სასკოლო გუნდების მატჩი, რომელიც მოიგეს მასპინძლებმა — 2:1.

ვ. ქუტალაძე.

# ყოველი მხრი[...]

## შეღავათებით — მსოფლიოს ჩემპიონატზე

ცნობილი სპორტსმენის, ინგლისის ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშის ბილ რაიტის თაოსნობით, ლონდონის საფეხბურთო კლუბმა „არსენალმა“ გადაწყვიტა მსოფლიო ჩემპიონატის დროს თავის ყველა სპორტსმენს შეღავათი მისცეს.

„ჩვენ დიდი თანხის დახარჯვა მოგვიწევს, — განაცხადა რაიტმა, — მაგრამ ამას არად ვაგდებთ, რადგან დარწმუნებული ვართ, დანახარჯს სამმაგად ამოვიგებთ. საკუთარი გამოცდილებით ვიცი რა დიდებული სკოლაა სპორტსმენისთვის მსოფლიო ჩემპიონატი. ჩვენმა ბიჭებმა უნდა ნახონ სამყაროს საუკეთესო გუნდებისა და ფეხბურთელების თამაში, დაუკვირდნენ და ბევრი რამ ისწავლონ. ჩვენ კარგად ვიცით, რაოდენ ძნელი იქნება მსოფლიო პირველობაზე ბილეთის შოვნა და ამიტომ კლუბის წევრებს უფასო საშვით უზრუნველვყოფთ.

## კორტზე ერთხელ შე[...]

მთელ მსოფლიოში „№ 1 როდეზი[...] ტონი იან სმიტი და მისი დამქაშ[...] შალონ აფრიკელთა ფიზიკური კულტურის [...] რომ ეს ადგილობრივი მოსახლეობის ს[...] ერთი გზაა.

ამ დღეებში სოლსბერიში აღმაშფოთე[...] და „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვე[...] რომელიც თეთრების თამაშის საყურებლა[...]

რასაკვირველია, ზედმეტია ლაპარაკ[...] აუზში თეთრკანიანის გვერდით აფრიკე[...] სიზმის სასტიკი ტერორი სპორტში ჯერ [...] რეთ წოდებულ „დამოუკიდებლობას“ [...]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სტუდენტთა თამაშები

# ასე ფონს ვერ გავალთ

სტუდენტური ჩოგბურთის ფრონტზე რომ საქმე კარგად არ არის, ამას ისიც მეტყველებს, რომ სტუდენტთა თამაშების I ჯგუფში ექვსის ნაცვლად 5 გუნდი გამოვიდა (არ ჩანდა გორის პედაგოგიური ინსტიტუტი). II ჯგუფში კი მხოლოდ 2 კოლექტივი ასპარეზობდა (არ გამოვიდნენ სოხუმის სუბტროპიკული, ბათუმის, ქუთაისისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტსმენები). თანაც, III ჯგუფის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ გამოუთქვამს (დებულებით, III ჯგუფში შედიან საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის, სამხატვრო აკადემიის, კონსერვატორიის, თეატრალური, თელავისა და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზკულტურული კოლექტივები).

უნდა ითქვას, რომ სტუდენტ ჩოგბურთელთა ასპარეზობაში არც სხვა მხრივ იყო ყველაფერი რიგზე. გუნდური შეჯიბრების პირველსავე დღეს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტების ჩოგბურთელები ნახევარფინალში უბრძოლველად მოხვდნენ იმის გამო, რომ მეტოქეები არ ჰყავდათ. I ტურის შეხვედრა თბილისის პედაგოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებს შორის დამთავრდა მომავალ პედაგოგთა გამარჯვებით — 5:3, თუმცა ამ მატჩში მხოლოდ ერთი შეხვედრა გაიმართა: მომავალმა პედაგოგმა ა. ხაჩატურიანმა იოლად სძლია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენელს მ. ჩხიკვიშვილს — 6:0, 6:0. ეს იყო და ეს. დანარჩენი ქულები მეტოქეთა გამოუცხადებლობის მიხედვით ალირიცხა. საქმე ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდში ქალები არ ჰყავდათ, ხოლო პედინსტიტუტის კოლექტივში 1 ვაჟი და 2 ქალი იყო. მსაჯთა კოლეგია იძულებული შეიქნა გამარჯვება მისთვის მიეკუთვნებინა, ვისი მეტოქეც საერთოდ არ მოვიდა საასპარეზოდ. ამ მხრივ „უპირატესობა" პედაგოგიური ინსტიტუტის მხარეს აღმოჩნდა და საბოლოო გამარჯვებაც მასვე მიეკუთვნა. ცხადია, ამ ინსტიტუტებში თავი არ შეუწუხებიათ, რომ გუნდები ისე დაეკომპლექტებინათ, როგორც წესი და რიგია.

ნახევარფინალური შეხვედრები წარმატებით ჩაატარეს პოლიტექნიკური და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. მომავალმა ინჟინრებმა დაამარცხეს პედაგოგიური ინსტიტუტის ჩოგბურთელები (6:1), ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებმა — უნივერსიტეტელები (5:4). ეს ორი გამარჯვებული გუნდი ერთმანეთს ფინალში შეხვდა, სადაც წარმატება პოლიტექნიკურ ინსტიტუტს ხვდა — 5:2.

III-IV ადგილებისთვის უნივერსიტეტისა და თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ჩოგბურთელები იბრძოდნენ. უნივერსიტეტელებმა „მშრალი" ანგარიშით გაიმარჯვეს (5:0) და III ადგილზე გავიდნენ.

II ჯგუფში უცხო ენების ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მოუგეს სამედიცინო ინსტიტუტის ჩოგბურთელებს.

სამწუხაროა, რომ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩოგბურთის განვითარებას ასე გულგრილად და უზრუნველად ეკიდებიან.

**გ. ირინაული.**

## ჩოგბურთი

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

**გუნდური ჩათვლა.** **I ჯგუფი:** 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. უნივერსიტეტი. **II ჯგუფი:** 1. სამედიცინო ინსტიტუტი, 2. სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი (სოხუმი), 3. პედაგოგიური ინსტიტუტი (ბათუმი).

**პირადი ჩათვლა.** **უმჩატესი წონა.** 1. გ. ქავთარაძე (ფიზკ. ინსტ.), 2. თ. ჯაოშვილი (სპი), 3. შ. სანამიანი (უნივერსიტეტი).

**მჩატე.** 1. ნ. აივაზოვი (ფიზკ. ინსტ.), 2. ა. ხარაბაძე (სპი), 3. ვ. სალნიკოვი (პედინსტიტუტი, თბილისი).

**ქვემსუბუქი.** 1. ჯ. გოგაშვილი (უნივერსიტეტი), 2. ვ. კანკავა (სპი), 3. ნ. ფარტენაძე (სუბტრ. კულტ. ინსტ. სოხუმი).

**მსუბუქი.** 1. ლ. ხართიშვილი (ფიზკ. ინსტ.), 2. ა. არქანია (სუბტრ. კულტ. ინსტ. სოხუმი), 3. ლ. მჭედლიშვილი (უნივერსიტეტი).

**ქვესაშუალო.** 1. გ. ჰელიძე (სპი), 2. ქ. შავგულიძე (სამედიცინო ინსტ.), 3. ვ. დონლუზაშვილი (ფიზკ. ინსტ.).

**საშუალო.** 1. თ. მაჭავარიანი (უნივერსიტეტი), 2. ს. აროშიძე (სასოფლო-სამ. ინსტ.), 3. თ. კვარაცხელია (სუბტრ. კულტ. ინსტ. სოხუმი).

**ქვემძიმე.** 1. თ. ქურციკიძე (პედინსტიტუტი, თბილისი), 2. თ. მიქაძე (სპი), 3. ხ. იოსელიანი (ფიზკ. ინსტ.).

**მძიმე.** 1. მ. ჩიბურდანიძე (უნივერსიტეტი), 2. შ. დრიაშვილი (პედინსტიტუტი, თბილისი), 3. პ. ფარჯანაძე (სპი).

## კლასიკური ჭიდაობა



რამდენიმე დღეა მიმდინარეობს სტუდენტთა თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა კალათბურთში. ამ სურათზე აღბეჭდილია II ჯგუფში მონაწილე თბილისის უცხო ენებისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების კალათბურთელ ქალთა გუნდების შეხვედრის მომენტი. მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 41:37 (18:14) და ახლა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდთან ერთად შეჯიბრებას ლიდერობენ. ამ გუნდების დღევანდელი მატჩის შედეგი ნათელს მოჰფენს იმას, თუ მათ შორის ვის ხვდება წილად I ადგილი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისში ტანმოვარჯიშე ქალთა ახლახან გამართულ საერთაშორისო ტურნირში კარგად გამოვიდა სსრ კავშირის I ნაკრების წევრი დ. ჯანუყაშვილი.

სურათზე: ჯანუყაშვილმა (მარცხნივ) ეს-ეს არის მაღალი შეფასება დაიმსახურა ბჯენით ხტომებში.. იგი თავის სიხარულს უზიარებს თავის მეგობარს, სახელგანთქმულ ტანმოვარჯიშეს ლ. ლატინინას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



# საქართველოს გუნდი — მესამე

ამას წინათ ლუგანსკში ჩატარდა „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა აკრობატიკაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ უკრაინის (2), რსფსრ-ს (2), საქართველოს, ბელორუსიის, უზბეკეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა, რომლებიც სპორტის ოსტატთა პროგრამით გამოდიოდნენ, საერთო III საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს — წინ მხოლოდ უკრაინისა და რსფსრ-ს პირველი გუნდები „გაუშვეს". ოსტატთა პროგრამით გამოსული მოზარდების წყვილებში თბილისელებმა ა. თედეევმა და პ. მიქიაშვილმა აქაც დაამტკიცეს, რომ ისინი უძლიერესნი არიან და დამსახურებულად მოიპოვეს I ადგილი. მოზარდებში უძლიერესი იყო უკრაინელთა წყვილი — ილუშენკო — ტახტაროვი. II ადგილი წილად ხვდა საქართველოს წყვილს — თ. ხუდოევსა და ა. სლივკოვს.

ხტომებში პირველივე დღეს დიდი მოწონება დაიმსახურა ვ. ლიტვინოვმა (საქართველო), რომელმაც პროგრამის ოთხივე ვარჯიში ყველაზე უკეთ შეასრულა. I ადგილი მას თითქმის განაღდებული ჰქონდა, მაგრამ დასკვნით დღეს ნებისმიერი ხტომების შესრულებისას, რატომღაც უარი თქვა პირველი ცდის საკმაოდ მაღალ შეფასებაზე. მეორე ცდა კი ლიტვინოვისათვის საბედისწერო აღმოჩნდა და საბოლოოდ იგი IV ადგილზე აღმოჩნდა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შედგა „შრომითი რეზერვების" აკრობატთა ნაკრები გუნდი, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის 7 წარმომადგენელი შევიდა. ესენი არიან: ვ. ლიტვინოვი, თ. ხუდოევი, ა. სლივკოვი, მოზარდები — ა. თედეევი, პ. მიქიაშვილი, ვალენტინა ანტონოვა და დ. ტატიშვილი.

**მ. ქელეხსაშვილი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## სხვადასხვა ქვეყნებში

● **ლიბერეცი,** 10 მაისი. მშვიდობის XIX ველორბოლის II ეტაპის (პრაღა — ლიბერეცი, 132 კმ) ფინიშამდე 10 კილომეტრით ადრე მოწინავე ჯგუფში იყვნენ იტალიელი, საბჭოთა, ფრანგი, ჩეხოსლოვაკიელი და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სპორტსმენები. მაგრამ აი, წინ გაიჭრა იტალიელი პ. გუერა, რომელმაც პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი — 3:19.18,0. 36 წამის შემდეგ ფინიშთან მეორე იყო ა. პეტროვი (სსრ კავშირი). III ადგილზეა იტალიელი ა. ალბონეტი. ისევე, როგორც პირველ ეტაპზე, გუნდური გამარჯვება ამჯერადაც იტალიელებმა იზეიმეს.

● **ლვოვი,** 11 მაისი. აქ დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდის უძლიერესი საბჭოთა ოსტატების ტურნირი. I ადგილი დაიკავა მოსკოველმა ს. შაპარნისმა — 5223 ქულა. II ადგილზეა კიეველი ფ. პიჩუჟკინი, რომელიც გამარჯვებულს 21 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მოკეევი (მოსკოვი) — 5.021 ქულა. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში წინ არიან მოსკოველები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ სომხეთის, ყაზახეთისა და უკრაინის ხუთჭიდელები.

● **მოსკოვი,** 10 მაისი. სსრ კავშირის უძლიერეს მსტენდურეთა შეჯიბრებაში, რომელიც დედაქალაქის მახლობლად მდებარე სევერიანინის სასროლეთზე მიმდინარეობს, მრგვალ სტენდზე სროლაში ყველას აჯობა ა. შელოუხოვმა — 195 ქულა 200 შესაძლებლიდან. გუნდურ ასპარეზობაში დაწინაურდნენ რსფსრ-ს სპორტსმენები. მომდევნო ადგილებზე არიან მოსკოველი და უკრაინელი მსროლელები.

# წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **კლასიკურ ჭიდაობაში** — ა. ლვინიანიძეს, ლ. ჩიტიძეს (ორივენი — ქუთაისის „განთიადი"), მ. დიბიროვს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ს. ქარაზანაშვილს (ქუთაისის „ლოკომოტივი"); **მთამსვლელობაში** — ნ. ბაქრაძეს, ვ. თევდორაშვილს (ორივენი — თბილისის „ბურევესტნიკი"), ვ. გაბელაშვილს (ქუთაისის „განთიადი"), რ. გაუთმშვილს (თბილისის „კოლმეურნე").

# „ძალა და გრაცია"

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ, აგრეთვე ცენტრალურმა ტელევიზიამ დაადგინეს ტრადიციად დაწესდეს მოსწავლეთა დიდი შეჯიბრება ტანვარჯიშში, რომელსაც ეწოდება „ძალა და გრაცია".

ამ ღონისძიებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში და, კერძოდ, საქართველოში. რესპუბლიკაში შეიქმნა საგანგებო შტაბი, შესაბამის ორგანიზაციებს დაევალათ ფართოდ გაშალონ მუშაობა მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმისთვის ამ საინტერესო ტანვარჯიშულ ღონისძიებაში.

ადგილებზე შეჯიბრებებს ატარებენ კლუბ „ძალა და გრაციის" რაიონული, საქალაქო და საოლქო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაში შედიან კომკავშირული და სპორტული ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების, ტანვარჯიშის ფედერაციების, რადიოკომიტეტებისა და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები, მოწინავე ტანმოვარჯიშეები და მწვრთნელები. შეჯიბრება მიზნად ისახავს სკოლებში სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას, ბავშვთა ჯანმრთელობის გაკაჟებას, მოსწავლე ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმას ტანვარჯიშში.

„ძალა და გრაციის" ასპარეზობა გაიმართება ეტაპებად. დაწყებით ეტაპზე უნდა შეიქმნას კლუბის საბჭოები, შესწავლილ იქნას პროგრამა, მოეწყოს კლასებისა და სკოლების პირველობანი. ეს პერიოდი მოიცავს მაისს. II ეტაპზე (სექტემბერი) გაიმართება რაიონებისა და ქალაქების პირველობანი, ხოლო დასკვნით, III ეტაპზე (ოქტომბრის პირველი ნახევარი) ჩატარდება რესპუბლიკის საუკეთესო სასკოლო გუნდების პირველობა.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ როგორც დაწყებითი, ისე საშუალო და უფროსი კლასების მოსწავლეები. პროგრამაშია თავისუფალი ვარჯიში, ვარჯიშები ორძელზე, ლერძზე, ხტომები, აკრობატიკა და სხვ. ასპარეზობაში მონაწილეობენ მოსწავლეები, რომლებიც დაშვებული არიან ფიზაღზრდის მეცადინეობაზე და სპორტის ამ სახეობაში სათანადო მომზადება აქვთ.

სხვადასხვა ეტაპზე გამარჯვებულთათვის დაწესებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკური სპორტკავშირის, განათლების სამინისტროს, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის სამახსოვრო ჯილდოები და სიგელები.

# ...დან

## ...თვის — ციხე!

...ისტის" სახელით ცნობილი ბა... ...ნაირად ცდილობენ ხელი შეუ...რებას, რადგან კარგად იციან, ...ბრივ ცხოვრებაში ჩაბმის ერთ-...

...ავი მოხდა: პოლიციამ დაიჭირა ...ორი თვით ციხეში ჩასვა ზანგი, ...ჩოგბურთის კორტზე.

...რომ სტადიონზე ან საცურაო ...წყდე. სამხრეთ როდეზიაში რა...ანამ მეფობდა, სანამ სმიტი ეგ...ებდა. ახლა ეს ტერორი უფრო გამძაფრდა. თავის დროზე სამხრეთ როდეზია იყო ერთადერთი ქვეყანა, მკაცრად რომ გააკრიტიკა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტების ოლიმპიური თამაშებიდან მოხსნისთვის.

სწორედ სამხრეთროდეზიელ საქმოსნებს სურთ ჩატარდეს წმინდა რასისტული თამაშები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, სამხრეთ როდეზიის, პორტუგალიის გვინეის, ანგოლის, მოზამბიკის და სხვა იმ ქვეყნის თეთრი სპორტსმენები, სადაც თეთრკანიანი ადამიანის ღირსება სათანადო სიმაღლეზე დგას".

„სპორტის ყოველი სახეობა თეთრების საკუთრებაა. ზანგებმა უნდა იმუშაონ. სტადიონებზე მათ არაფერი ესაქმებათ", — განაცხადა ამას წინათ ი. სმიტმა. ყოველივე ამის შემდეგ მას კიდევ ჰყოფნის თავხედობა რაღაც „ღირსებაზე" ილაპარაკოს!

## ემანსიპაცია... მარათონში

ახლახან ბოსტონში ამერიკელი მარათონელების შეჯიბრება ჩატარდა. სპორტსმენებმა საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ ასპარეზობის სენსაცია ეს როდი გახლდათ. მაყურებლებს სულ სხვა სიურპრიზი ელოდათ. მარათონის დაწყებას 1 საათი რომ უკლდა, შეჯიბრების თაოსნებს 23 წლის ქალიშვილმა რობერტა ბინგეიმ მიმართა:

„მძლეოსნობა ძალიან მიყვარს. მინდა ამ ასპარეზობაში ვაჟებთან ერთად მეც მივიღო მონაწილეობა. იმედი მაქვს, რომ თქვენ, ჯენტლმენებო, უარს არ მეტყვით".

ნათქვამი ხუმრობად ჩამოართვეს და ნება დართეს. მაგრამ ქალიშვილი, თურმე, სულაც არ ხუმრობდა. მართლა გავიდა სტარტზე და შეჯიბრებაშიც ჩაება. მართალია, ბინგეი მალე ჩამორჩა მარათონელთა მთავარ ჯგუფს, მაგრამ დისტანციის დატოვება არც უფიქრია და სრული 42 კმ და 195 მ 3 საათსა და 20 წუთში გაირბინა.

„მსურდა დამემტკიცებინა, რომ ემანსიპაცია სპორტში და, კერძოდ, მძლეოსნობაში, ლიტონი სიტყვა როდია. ცნობილი ამბავია, რომ ქალები მაძაკაცებზე ამტანნი არიან. ვითომ რატომ ვერ უნდა დავიპყროთ სტაიერული დისტანციები?" — განუცხადა ამერიკელმა ქალიშვილმა ჟურნალისტებს.



# კვარტეტი არ ჩანს

სომხეთის დედაქალაქში თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება კარგ ტრადიციად იქცა. უკვე მეოთხე წელია აპრილის თვეში იქ ჩადიან ევროპის უძლიერესი ხუთჭიდელები. წლეულს ასპარეზობდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, სსრ კავშირის ახალგაზრდული, უკრაინის, რსფსრ-ს, აზერბაიჯანის, სომხეთის (3) და საქართველოს ნაკრები გუნდები. პირველი შემთხვევაა, რომ ასეთ დიდ შეჯიბრებაში არ გამოვიდა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ერევნელი ი. ნოვიკოვი. ამჯერად იგი შეჯიბრების მთავარ მსაჯად მოგვევლინა.

უნგრეთის გუნდს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ა. ბალცო მეთაურობდა. ასპარეზობდა, აგრეთვე, 1965 წლის მსოფლიოს ჭაბუკთა ჩემპიონი ი. ბოდნარი (უნგრეთი). ორი ასეთი სახელგანთქმული ხუთჭიდელის მონაწილეობამ, რა თქმა უნდა, შეჯიბრებისადმი ინტერესი გაზარდა.

სსრ კავშირის უძლიერესი ხუთჭიდელებიდან მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მონაწილეები ვ. ზახარენკო, ვ. პიჩუჟკინი, პ. ლედნევი და სხვები გამოდიოდნენ.

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაციამ ამ შეჯიბრებაზე 8 სპორტსმენი მიავლინა, აქედან 4 — სპორტის ოსტატები ი. მურომცევი, ა. კრავჩენკო, ა. შეროზია და ლ. სალუქვაძე — გუნდურ ჩათვლაში გამოდიოდნენ, ხოლო ო. აბესაძე, ა. და ი. მაროტები, თ. გოგინაშვილი პირად ჩათვლაში ასპარეზობდნენ.

შეჯიბრებაში 11 გუნდი და 56 სპორტსმენი მონაწილეობდა. ცხენოსნურ კროსში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან საუკეთესო შედეგი მოიპოვა კრავჩენკომ — 1100 ქულა. აბესაძემ 1005 ქულა მოაგროვა. საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა მურომცევმა საუცხოო დროში დაფარა მანძილი, მაგრამ მეორე წინაღობა დაარღვია და 30 ქულით დაჯარიმდა (1070 ქულა). უიღბლო გამოდგა სტარტი შეროზიასთვის, რომელსაც ცხენი გაუჯიუტდა და საბოლოოდ „0" დაეწერა. გუნდის ბედი სალუქვაძის გამოსვლაზე იყო დამოკიდებული (შეჯიბრების წესების თანახმად, გუნდის 4 მონაწილიდან ჩათვლაში სამის შედეგი შედიოდა). მან 800 ქულა მოაგროვა. ამრიგად, ცხენოსნურ კროსში საქართველოს გუნდი II ადგილზე გავიდა.

შეჯიბრების მეორე სახეობაში — ფარიკაობაში, თავი ისახელა მურომცევმა. მან 980 ქულა დააგროვა და III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა, ორ სახეობაში შეჯიბრების შემდეგ კი II ადგილზე გადაინაცვლა.

სროლაში შეჯიბრებამ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ქართველ სპორტსმენებს მოუტანა. მურომცევმა 196 ქულა დააგროვა (200-დან), შეროზიამ — 195, ხოლო კრავჩენკომ — 194. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეროზიას შედეგი გუნდურ ჩათვლაში ვერ შევიდოდა, რადგან მან ცხენოსნურ კროსში „0" მიიღო. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სალუქვაძის შედეგს, მაგრამ, სამწუხაროდ, მან მხოლოდ 172 ქულა დააგროვა, რის გამოც 3 სახეობის ჯამში ჩვენი გუნდი IV ადგილზე აღმოჩნდა. პირად ჩათვლაში მურომცევი ისევ II ადგილზე დარჩა.

დანარჩენ ორ სახეობაში ჩვენი სპორტსმენები ძალიან ეცადნენ მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ პირველი 3 სახეობის შედეგიც ვერ შეინარჩუნეს და საერთო გუნდურ ჩათვლაში V ადგილით დაკმაყოფილდნენ.

საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლის შედეგები საბოლოოდ ასეთია: მურომცევი — 5046 ქულა (მე-3 ადგილი), კრავჩენკო — 4856 (მე-8), აბესაძე — 4488 (22-ე), ა. მაროტი — 4454 (23-ე), სალუქვაძე — 3917 (34-ე), ი. მაროტი — 3710 (41-ე), გოგინაშვილი — 3642 (43-ე), შეროზია — 3608 (45-ე).

პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ერევნელმა ე. ბაროიანმა — 5157 ქულა. II ადგილზეა უნგრელი ი. მოცარი — 5141. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სომხეთის პირველმა ნაკრებმა, II ადგილზე გავიდა უნგრეთი, III — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები, ხოლო IV — უკრაინა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მურომცევმა საკავშირო კლასიფიკაციით სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდებისთვის საჭირო ქულათა რაოდენობა დააგროვა.

ჩვენი რესპუბლიკის ხუთჭიდელთა გამოსვლა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის კვარტეტის შექმნის პრობლემა გადაჭრილი იყოს.

**ვ. როგავა,**
„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი თანამედროვე ხუთჭიდში.

• • •

სურათზე: ი. მურომცევი მძლეოსნურ კროსში ასპარეზობისას.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

# მძლეოსნობის სამყაროში

**ბუდაპეშტი,** 10 მაისი. ურო ტყორცნაში მსოფლიო რეკორდსმენის დიულა ჟივოცკის პირველი გამოსვლა შესანიშნავი შედეგით აღინიშნა — **71,08** მ. თავის ამხანაგს არც უნგრეთის მძლეოსანთა ნაკრების მეორე გიგანტი, ევროპის ჩემპიონი ბირთვის კვრაში ვილმოშ ვარიუ ჩამორჩა: მან აჩვენა **19,40** მ. ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა გერგეი კულჩარმა შუბი ტყორცნა **78,40** მეტრზე.

**პარიზი,** 10 მაისი. სიმაღლეზე ხტომაში საფრანგეთის ახალი „ვარსკვლავი", **22** წლის ჟაკ მადიუბო აქ გამართულ შეჯიბრებაში **218** სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. მაგრამ საფრანგეთის ახალი რეკორდი არ „იშვა", ვინაიდან „ობობამ" (ასე უწოდებენ ხუმრობით მადიუბოს მისი გრძელი ფეხებისთვის) ეს შედეგი „არაოფიციალურ", მეოთხე ნახტომისას აჩვენა.

**ვარშავა,** 10 მაისი. პოლონელ შუბისმტყორცნელთა წლევანდელი სეზონის პირველ შეჯიბრებაში ვეტერანმა იანუშ სიდლომ პირველობა „დაუთმო" ვლადისლავ ნიკიჩუკს (**80,83** მ). მაგრამ არც სიდლოს შედეგია ურიგო — **79,66** მ. ვლადისლავ კომარმა იტალიაში, სადაც ახლა პოლონელ მძლეოსანთა ერთი ჯგუფი მეცადინეობს, ბადრო კრა **19,28** მეტრზე.

**ტოკიო,** 10 მაისი. **490** სმ სიმაღლე გადალახა ჭოკით იაპონელმა სპორტსმენმა იოხიმასა ტორიიმ. იაპონიის სპორტის სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ეს **24** წლის ათლეტი, სკოლის მასწავლებელი ტორიი ეროვნული რეკორდის „ჭერს" მალე **5** მეტრამდე ასწევს.

**ლონდონი,** 10 მაისი. ტრინიდადელმა უენდელ მოთლეიმ, რომელიც ამჟამად ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობს, სტუდენტთა შეჯიბრებისას **440** იარდი **46** წამში გაირბინა (რაც **400**-მეტრიან მანძილზე **45,6** წამს შეესაბამება).

**ნიუ-იორკი,** 10 მაისი: ორმა ამერიკელმა „გადააბიჯა" **20**-მეტრიან ზღვარს ბირთვის კვრაში: მსოფლიო რეკორდსმენმა რენდი მეტსონმა ოსტინში (ტეხასი) აჩვენა **20,56** მ (მანვე მოიგო შეჯიბრება ბადროს ტყორცნაში — **60,22** მ), ხოლო იუჯინში (ორეგონი) ნილ სტაინჰაუზერმა გაიმარჯვა შედეგით **20,87** მ. სან-ხოსეში (კალიფორნია) პოლ უილსონმა ჭოკით ხტომაში აჩვენა **520** სმ. იქვე მახლობლად, პატარა ქალაქ სან-მათეოში ყველა ამერიკელ მხტომელს აჯობა კალიფორნიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტმა, ფინელმა რაინერ სტენიუსმა — **816** სმ. ეს შედეგი ფინეთის ახალი რეკორდია.

# „ჩრდილოეთის ჯოჯოხეთის" გმირი

პარიზ—რუბეს ტრადიციულ ველორბოლას პროფესიონალთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. 1896 წლიდან მოყოლებული იგი რეგულარულად იმართება ტრასაზე, რომელსაც დიდი სირთულის გამო „ჩრდილოეთის ჯოჯოხეთს" უწოდებენ.

64-ე ველორბოლის სტარტი მსოფლიო 141 უძლიერესმა ველოსიპედისტმა აიღო (მონაწილეთა შორის არ იყო მხოლოდ ჟ. ანკეტილი). მთავარ ფავორიტებად სპეციალისტებს ბელგიელები მიაჩნდათ, რომლებმაც ბოლო 15 წელიწადში ამ ტრასაზე 11 გამარჯვება მოიპოვეს. რბოლა ყველაზე კარგად აქვს დაცდილი რ. ვან ლოის, რომელიც პირველი იყო 1961, 1962 და 1965 წლებში. იტალიელები პირველნი მხოლოდ ოთხჯერ იყვნენ.

ბრძოლის ორგანიზატორებმა ტრასა ამჯერად კიდევ უფრო გაართულეს. ყოველივე ამას დაემატა სიცივე, კოკისპირული წვიმა, ნისლი და ქარი. ერთი სიტყვით, რბოლა კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთი დაიწყო.

5-საათიანმა ბრძოლამ ჯგუფი საგრძნობლად დაანაწევრა. 217-ე კილომეტრზე დაწინაურდა ნაკლებად ცნობილი ბელგიელი დე ბოევერი. მალე მას მარაგში 1-წუთიანი სხვაობა აღმოაჩნდა. დისტანციის ერთ-ერთ ურთულეს უბანზე შეტევა წამოიწყო ფ. ჯიმონდიმ. მას თანაგუნდელი მ. დანჩელი აედევნა. და აი, იტალიურმა დუეტმა სულ მალე „ჩაკეტა" ბელგიელი, მაგრამ ჯიმონდი არც ამას დასჯერდა. ვითომც არაფერიაო, იგი მძლავრი ბიძგით წინ გაიჭრა და სულ მალე გაკვირვებული ველოსიპედისტების თვალს მიეფარა.

მუხანათი ტრასა კი ხან ერთ მონაწილეს უგებდა მახეს, ხან მეორეს. დავარდნა იმდენად ჩვეულებრივი გახდა, რომ ტრასის გასწვრივ ჩამწკრივებული მაყურებლები სუფთად „შენახული" სპორტსმენის დანახვაზე ტაშს უკრავდნენ. სამწუხაროდ, ასეთი ძალიან ცოტა იყო.

ფინიშამდე დარჩენილ 40 კილომეტრზე ჯიმონდიმ მდევრებთან სხვაობა 4 წუთამდე გაზარდა. გულშემატკივართა მქუხარე ტაშში მან მარტოხელამ გადაჭრა ფინიშის ხაზი. 4 წუთისა და 8 წამის შემდეგ ფინიშს 9 ველოსიპედისტი მიუახლოვდა. აქ იყვნენ ჰოლანდიელი ჟ. ჟანსენი, ბელგიელები ვ. პლანკერტი და გ. დესმეტი. ამავე ჯგუფში იყვნენ რ. ალტიგი (გფრ), რომელსაც მხოლოდ VI ადგილი ერგო და რ. ვან ლოი (IX ადგილი). ჯიმონდიმ 262 კილომეტრის გავლას 6 საათი, 59 წუთი და 29 წამი მოანდომა.

სპეციალისტების აღიარებით, ჯიმონდიმ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას სამართლიანად თვლიან ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ველოსიპედისტად. ჟურნალისტებმა კი მას „ახალი კოპი" შეარქვეს.

# ტანვარჯიშის მერიდიანებზე

როგორც ცნობილია, სექტემბერში დორტმუნდს გაიმართება ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამჟამად ყველა ქვეყნის ტანმოვარჯიშეები გაცხოველებით ემზადებიან თავიანთი უმაღლესი ფორუმისთვის. ამ სამზადისის ნიშნით მიმდინარეობს საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლები სხვადასხვა ქვეყანაში.

ფინეთში სტუმრადაა სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა I ნაკრები. ტურკუში გამართულ შეჯიბრებაში ყველას აჯობა ახალგაზრდა მოსკოველმა მ. ვორონინმა (58,25 ქულა). II ადგილზეა ო. ლაიხო (57,70), ხოლო III — ხ. ხაპინენი (56,75). ბ. შახლინმა IV ადგილი დაიკავა (56,55), ხოლო რ. ხეინომ — V (56,15). შემდეგ არიან: ს. ოლკონენი (53,18) ვ. კერდემელიდი (38,30) და ხ. რიანტაკარი (37,20).

კუოპიოში მ. უოსიკაინენის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში გაიმარჯვა ი. ტიტოვმა (56,90). II ადგილი დაიკავა ს. დიომიდოვმა (56,55), III — მ. ნისინენმა (55,80), IV — ვ. კარასიოვმა (55,25).

ბუქარესტში ასპარეზობდა საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალთა II ნაკრები. მან მოუგო რუმინეთის გუნდს ანგარიშით 377,388 : 368,618. პირად ჩათვლაში მოსკოველმა მოსწავლემ, 16 წლის ო. ხარლოვამ დამაჯერებლად გაუსწრო ყველა მეტოქეს და 76,132 ქულა დააგროვა. მომდევნო 4 ადგილი ასევე საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ წილად: ზ. დრუჟინინას (75,463), ნ. მოროზოვას (75,298), ლ. სურმენიოვას (75,164) და ლ. ლაბუნეცს (74,731). მასპინძელთაგან საუკეთესო იყო რ. აპეტიანუ.

შვერინში გაიმართა საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ვაჟთა II ნაკრების შეხვედრა გდრ-ის სპორტსმენებთან. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 564,80 : 564,75. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა მასპინძელმა ზ. ფიულემ (114,15). II ადგილზეც გერმანელი ტანმოვარჯიშე — მ. ბრემე გავიდა (113,70). III ადგილზეა ლ. არკაევი (113,65).

ვარშავაში პოლონელმა ტანმოვარჯიშეებმა დაამარცხეს შვეციელები — 552,55 : 541,10. პირველი ორი ადგილი დაიკავეს ძმებმა ვ. და მ. კუბიცებმა (პოლონეთი).

# ყალბი ბილეთები

21 მაისს ლონდონის „არსენალის" სტადიონზე უნდა შედგეს მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების კლეისა და კუპერის მატჩი.

როგორც ამ მატჩის ორგანიზატორმა ჰ. ლევენმა განუცხადა კორესპონდენტებს, „შავ ბაზარზე" უკვე გამოჩნდა ყალბი ბილეთები, თუმცა ნამდვილი ბილეთები ჯერ კიდევ არაა დაბეჭდილი.



ავსტრალიელ ჩოგბურთელს როი ემერსონს საოცრად მძლავრი დარტყმის უნარი აქვს. მისი ძალა ესპანელმა ლუის არილიამაც იწვნია დევისის თასის გათამაშების დროს. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი. არილიამ ბურთი მიიღო, მაგრამ ჩოგანი ხელიდან გაუვარდა, თვითონ კი კედელს მიენარცხა...

ფოტო ასოშიეიტედ პრესის სააგენტოსი.

# ორდენები კორეელ ფეხბურთელებს

როგორც გაზეთი „ფხენიან ტაიმსი" (იგი ინგლისურ ენაზე გამოდის) იუწყება, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ორდენებით დააჯილდოვა ეროვნული ნაკრების 4 ფეხბურთელი: კიმ იუნგ სონი, პაკ დო ოკი, ხო იუნ გიონგი და ხან ბონ იინი.

ეს ფეხბურთელები შეუპოვრად ემზადებიან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. მთელი ზამთრის მანძილზე, სიცივეების მიუხედავად, მათ ვარჯიში არ შეუწყვეტიათ გაყინულ მოედანზე.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

ИНДЕКС 68118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 05936